

გეოლოგია არის მეცნიერება დედამიწის შესახებ. უფრო ზუსტად ის იკვლევს დედამიწის მყარი გარსის-ქერქის აგებულებას, შედგენილობას, განვითარების ისტორიას, მასში მიმდინარე გეოდინამიკურ პროცესებსა და ორგანული სამყაროს ევოლუციის საკითხებს.

ჩვენი ქვეყნისათვის გეოლოგია არის ტრადიციული და სტრატეგიული დარგი. საქართველო, მისი ტერიტორიის სიმცირის მიუხედავად, რელიეფის თავისებურებებისა და ბუნებრივი კატასტროფიული მოვლენების განვითარების მხრივ ერთ-ერთი რთული და საინტერესო რეგიონია მსოფლიოში. გეოლოგია რეგიონალურ და გლობალურ მასშტაბებში აწარმოებს დაკვირვებებს თანამედროვე გეოლოგიურ პროცესებზე (ეგზოდინამიკური გადაადგილებები, მიწის ქერქის დეფორმაციები, მიწისძვრები, მეწყერები, ღვარცოფები და სხვა) და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს მოსალოდნელი კატასტროფების თავიდან აცილების მიზნით.

გეოლოგიური ხასიათის თეორიული კვლევები ყოველთვის აისახება პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში. გეოლოგია არის კომერციულად მნიშვნელოვანი დარგი. ის შეიმუშავებს სასარგებლო წიაღისეული საბადოების ძებნისა და პროგნოზირების მეთოდებს და ახდენს გამოვლინებულ წიაღისეულის სამრეწველო შეფასებას. ინტენსიურად აწარმოებს ოკეანეებისა და ზღვების ფსკერის შესწავლას, ენერგეტიკული რესურსების მიმართულებით იკვლევს დედამიწის შინაგან სითბოს.

უდიდესია გამოყენებით გეოლოგიის მნიშვნელობა საინჟინრო ნაგებობათა მშენებლობის გარემოს გეოლოგიური პირობების შესწავლაში, სამხედრო საქმის, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებაში.

გეოლოგიას აქვს კავშირები ასტრონომიასთან, გეოდეზიასთან, ფიზიკასთან, ქიმიასთან, გეოფიზიკასთან, გეოგრაფიასა და ბიოლოგიასთან.

საველე-გეოლოგიური პრაქტიკები ტარდება ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. პრაქტიკის პერიოდში სტუდენტები ეცნობიან ქვეყნის გეოლოგიურ აგებულებასა და გეოლოგიური განვითარების ისტორიას; აგროვებენ მასალას სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე გასატანი მოხსენებების მოსამზადებლად.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა

**გეოლოგია
(Geology)**



ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

გეოლოგიის დეპარტამენტი

<http://www.tsu.edu.ge/ge/faculties/science/>

თსუ XI კორპუსი

ქ.თბილისი, უნივერსიტეტის ქ. 13

☎ 30 12 03

საბაკალავრო პროგრამა „გეოლოგია“

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი :

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი (გეოლოგია)

(BSc in Geology)

მიზანი:

- გეოლოგიური დარგის საბაზისო დისციპლინებში: (პალეონტოლოგია, ზოგადი გეოლოგია, მინერალოგია, ისტორიული გეოლოგია, პეტროლოგია, სტრუქტურული გეოლოგია და გეოლოგიური აგეგმვა, სტრატეგრაფია, სასარგებლო წარმოების გეოლოგია, ლითოლოგია, სტრატეგრაფია, გეოქიმია და სხვ) ფართო და გარდამავალი ცოდნის მიღება;
- სასარგებლო წარმოების საბადოების ძებნისა და პროგნოზირების მეთოდების დაუფლება და მათი გამოყენების უნარი პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისას;
- მინერალოგიური, პეტროლოგიური, პალეონტოლოგიური და სამიბო გეოფიზიკური სავლე და ლაბორატორიული კვლევის მეთოდების დაუფლება;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგების - ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის ძირითადი საფუძვლების დაუფლება;
- სამაგისტრო პროგრამებზე დაშვების თეორიული საფუძვლების შექმნა;
- გეოლოგიის მონათესავე სფეროში პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის წინაპირობის შექმნა.

შედეგი

- გააჩნია ფართო და გარდამავალი ცოდნა გეოლოგიური დარგის საბაზისო დისციპლინებში;
- გააჩნია დედამიწაზე დღეს და გეოლოგიურ წარსულში მიმდინარე გეოლოგიური და გეოდინამიკური პროცესების შესახებ არსებული მონაცემების ინტერპრეტაციის უნარი.
- შეუძლია სასწავლო სავლე და პროფესიული პრაქტიკების პირობებში და გეოლოგიურ ექსპედიციებში მოპოვებული მასალის კამერალური და ლაბორატორიული შესწავლის შედეგების აღწერა და ანალიზი
- იცნობს სამიბო გეოდინამიკურ პროცესებთან ბრძოლის მეთოდებს.

მზად უნდა იყოს: სავლე გეოლოგიურ და გეოფიზიკურ ექსპედიციებში, სამეცნიერო გეოლოგიურ და გეოფიზიკურ ლაბორატორიებში, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში გეოლოგიური და გეოფიზიკური ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად.

უნდა შეძლოს მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე პრაქტიკული ჩვევების გამომუშავება და გამოყენება.

უნდა ფლობდეს: ლაბორატორიულ და სავლე კვლევის მეთოდებს, გეოლოგიური ამოცანების პრაქტიკული გადაწყვეტის, გეოლოგიის საბაზისო დარგებში მიღებული მონაცემების დამუშავებისა და ინტერპრეტაციის მეთოდებს.


დასაქმების სფეროები:

ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტრო, გარემოს მონიტორინგის მწარმოებელი ორგანიზაცია, საგანგებო სიტუაციათა დაწესებულებები, შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც დაკავებულნი არიან გეოლოგიური პრობლემების გადაწყვეტით, სახელმწიფო და კერძო სექტორში, მუნიციპალური სამსახური

სწავლის გაგრძელების საშუალება

ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს საშუალება ექნება სწავლა განაგრძოს გეოლოგიის სამაგისტრო პროგრამებზე.

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა
პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი).
აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 ECTS კრედიტი



უცხო ენა /10 კრედიტი/
კალკულუსი V დონე /5 კრედიტი/
კომპიუტერული უნარ-ჩვევები /5 კრედიტი/

გეოლოგიის საფუძვლები /5 კრედიტი/
გეოგრაფიის საფუძვლები /5 კრედიტი/
ბიოლოგიის საფუძვლები /5 კრედიტი/
ფიზიკის საფუძვლები /5 კრედიტი/
ქიმიის საფუძვლები /5 კრედიტი/
წრფივი ალგებრა და ანალიზური გეომეტრია/5 კრედიტი/
დაპროგრამების საფუძვლები /5 კრედიტი/
ელექტრონიკის საფუძვლები /5 კრედიტი/

ზოგადი გეოლოგია
პალეონტოლოგია
კრისტალოგრაფია
მინერალოგია 1
მინერალოგია 2
ისტორიული გეოლოგია 1
ისტორიული გეოლოგია 2
სამიბო გეოფიზიკის ზოგადი კურსი 1
სამიბო გეოფიზიკის ზოგადი კურსი 2
მაგმური და მეტამორფული ქანების პეტროლოგია1
მაგმური და მეტამორფული ქანების პეტროლოგია2
სტრუქტურული გეოლოგია და გეოლოგიური აგეგმვა 1
სტრუქტურული გეოლოგია და გეოლოგიური აგეგმვა 2
ლითოლოგია
სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგია
სასწავლო-სავლე პრაქტიკა ზოგად გეოლოგიასა და სამიბო გეოფიზიკაში
სასწავლო-სავლე პრაქტიკა მინერალოგიასა და ისტორიულ გეოლოგიაში
პროფესიული პრაქტიკა სტრუქტურულ გეოლოგიასა და გეოლოგიურ აგეგმვაში

სტრატეგრაფია
გეოქიმია
დედამიწის ფიზიკა
გარემოს დაცვა
გეოექსპტონიკა
ჰიდროგეოლოგია და საინჟინრო გეოლოგია
პალეონტოლოგიური კვლევის მეთოდები
მინერალოგიურ-პეტროგრაფიული კვლევის მეთოდები
საინჟინრო გეოფიზიკის საფუძვლები
რეგიონული გეოლოგია
ზღვებისა და ოკეანეების გეოლოგია
ეკოგეოფიზიკის საფუძვლები
გარემო და ბუნებრივი კატასტროფები
მინერალები და ძვირფასი ქვები
ზოგადი და არაორგანული, ორგანული ქიმია
საბაკალავრო ნაშრომი